



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №034/18<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი - მარიამ ჩიბურდანიძე

**ფაქტები:** კლიენტმა უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ დავაზე საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიმართა ადვოკატს და გაუფორმა მას მინდობილობა. ადვოკატი წარმოადგენდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატს, თუმცა იგი მომსახურებას უწევდა კლიენტს სამოქალაქო დავაზე. კლიენტისთვის ადვოკატის სპეციალიზაცია ცნობილი არ იყო. კლიენტმა ადვოკატს რამდენჯერმე ბანკიდან სესხის სახით გამოუტანა თანხა იმ იმედით, რომ ადვოკატი ამ თანხას დაფარავდა, თუმცა ადვოკატს აღნიშნული თანხა არ დაუბრუნებია. კლიენტმა აღნიშნულის თაობაზე მიმართა ასევე პროკურატურას.

**პროცესუალური ისტორია:** ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა. ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნა დაიწყო ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა), 8.1, აპეკ-ის 2, 3 და 8.5 მუხლების დარღვევის ფაქტებზე.

### სამართლებრივი შეფასება:

სადავო ფაქტს წარმოადგენდა კლიენტის ინფორმირება ადვოკატის სპეციალიზაციის შესახებ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) და აპეკ-ის 8.5 მუხლის მიხედვით, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა. ეთიკის კომისიას აქვს მყარად დადგენილი პრაქტიკა, რომლის შესაბამისად, სამართლის დარგში სპეციალიზაციის ქონის გარეშე, ადვოკატის მომსახურება არ ითვლება კლიენტის კვალიფიციურ მომსახურებად. კლიენტი ადვოკატს მიმართავს სწორედ მისი პროფესიული უნარ-ჩვევებიდან გამომდინარე და მას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია ადვოკატის სპეციალიზაციის შესახებ, რადგან თავად განსაზღვროს ის საფრთხეები და რისკები, რაც არასპეციალიზებული ადვოკატის მის საქმეში ჩართვას უკავშირდება. ადვოკატს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ მან მიაწოდა პოტენციურ კლიენტს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მას არ ჰქონდა სამართლის იმ დარგში სპეციალიზაცია, რომელშიც კლიენტს სჭირდებოდა საადვოკატო მომსახურების მიღება. საქმეში წარმოდგენილი იყო მხოლოდ კლიენტის პოზიცია და ადვოკატს აღნიშნულზე კვალიფიციური შედავება არ განუხორციელებია. შესაბამისად კლიენტს არ ჰქონდა შესაძლებლობა განესაზღვრა მისი ინტერესების დაცვისთვის სურდა თუ არა სამოქალაქო საქმე ეწარმოებინა იმ ადვოკატს, რომელიც ამ მიმართულებით არ იყო კვალიფიციური. არასათანადო სპეციალიზაციით წარმომადგენლობის განხორციელებით, ადვოკატმა დაარღვია კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულება.

მეორე სადავო ფაქტს წარმოადგენდა კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გამოტანილი თანხა რამდენიმე საკრედიტო კომპანიიდან, რომელიც შემდგომში არ დაფარულა ადვოკატის მიერ. კლიენტისთვის სესხის აღების მოთხოვნის წაყენება და შემდგომ ამ თანხის ადვოკატისთვის გადმოცემა არ წარმოადგენს არც კეთილსინდისიერ მოქმედებას ადვოკატის მხრიდან და არც

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5e2fea51eb2c3.pdf/034.18%20gaftrtileba%2028.06.19.pdf>

ნდობის გაძლიერებას უწყობს ხელს ადვოკატის მიმართ. საჩივრის ავტორის ბრალდება ადვოკატის მიმართ, ეფუძნებოდა მხოლოდ თავის განმარტებას. თანხის გადაცემის დასამტკიცებლად არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი მხარის ზეპირი განმარტება და ფულის გადაცემის ფაქტის სადაოობისას საჭიროა სხვა მტკიცებულებებიც, თბილისის საპატრულო პოლიციის წერილის მიხედვით გაირკვა, რომ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე მიმდინარე გამოძიება არ იყო დასრულებული. შედეგად კომისია ადგენს, რომ საქმეში არ იყო საკმარისი მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ ადვოკატმა კლიენტს გამოატანინა თანხა რამდენიმე საბანკო დაწესებულებიდან მისთვის გადასაცემად.

**დასკვნა:** ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) და აპეკ-ის 8.5 მუხლები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება. ადვოკატს არ დაუდგინდა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.1 და აპეკ-ის 2, 3 მუხლების დარღვევა.